



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# უსაფრთხოების მიმოხილვა

გიორგი სურმავა

რუსეთი-უკრაინა, 2021 წელი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის  
ფონდი 2021

2014 წელს, ყირიმის ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ, საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრმა უკრაინის აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებისკენ გადაინაცვლა. რუსულენოვანი მოსახლეობა კიევის მიმართ არც ადრე იყო ლოიალურად განწყობილი, ყირიმის მოვლენებმა და რუსეთის მხარდაჭერამ კი დამატებითი მუხტი შესძინა ადგილობრივ სეპარატისტებს, რომლებმაც ჩამოსულ თავგადასავლის მაძიებლებთან ერთად, რფ-ის რეგულარული ჯარების მხარდაჭერით, მოახერხეს კონტროლის დამყარება დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერიტორიის ნაწილზე. საბრძოლო მოქმედებები საკმაოდ სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი გამოდგა. ორივე მხარეს დიდი იყო მსხვერპლი, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაშიც. ამას დაემატა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება - ფართოდ გახმაურებული ინციდენტი და ყველაფერმა ერთად გამოიწვია ფართო საერთაშორისო რეზონანსი და მსოფლიოს დაინტერესება კონფლიქტის დარეგულირებით.

2014 წლის სექტემბრისთვის ეუთოს წამყვანი ქვეყნების ძალისხმევით მოხერხდა გარკვეული შეთანხმების მიღწევა და ინტენსიური ბრძოლების შეჩერება. მოხდა ოთხმხრივი (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, უკრაინა) შეთანხმება მხარეების დამორიშორებასა და ცეცხლის შეწყვეტაზე. შეხების ზოლი დაიყო სექტორებად და უზნებად, სადაც სიჩუმის რეჟიმის მონიტორინგი დაიწყო ეუთოს სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფმა. ამის შემდეგ საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა და მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, პერიოდულად ვითარება მწვავედობდა, რასაც მოსდევდა ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის და სიჩუმის რეჟიმის დამყარების შესახებ.


აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მარტიდან მკვეთრად იმატა ინციდენტების რაოდენობამ. პარალელურად დაიწყო რუსეთის რეგულარული ჯარების თავმოყრა უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრებთან და ანექსირებულ ყირიმში.

## **2021 გაზაფხულზე შექმნილი ვითარება**

3 მარტს დონბასის არაღიარებულმა ტერიტორიებმა გამოაცხადეს 2020 წლის ზაფხულში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული მორიგი შეთანხმებიდან გამოსვლა და განაცხადეს, რომ დასწრებით ცეცხლს გაუხსნიან უკრაინის შეიარაღებული ძალების პოზიციებს. სხვადასხვა სახის შეიარაღებიდან გახსნეს ცეცხლი თითქმის მთელი გამყოფი ხაზის გასწვრივ - 152 და 122 მმ ჰაუბიცებიდან, 120 მმ და 82 მმ ნაღმტყორცნიდან, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებიდან, ტანკსაწინააღმდეგო 100 მმ ქვემეხებიდან, სხვადასხვა ტიპის ყუმბარმტყორცნიდან, სხვადასხვა კალიბრის ტყვიამფრქვევებიდან, ავტომატებიდან, სნაიპერული შაშხანებიდან. ხორციელდებოდა დისტანციური დანადგარი და უპილოტო აპარატები აწარმოებდნენ საბრძოლო და სადაზვერვო ფრენებს (იხ. სურ.1).

ამ ინციდენტების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა კრებსითი მონაცემები არცერთ მხარეს არ გამოუქვეყნებია. თუმცა, უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, წლის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე, ძირითადად, სნაიპერული ცეცხლით დაიღუპა 30 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 30 მარტისათვის რუსეთ- უკრაინის საზღვარზე, დონბასსა და ყირიმში განლაგებული იყო 28 საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი, დასავლეთ და ცენტრალურ სამხედრო ოლქიდან, ასევე საჰაერო-სადესანტო ჯარებიდან. რუსეთის მხრიდან ისინი იმყოფებოდნენ ბრიანსკის, ვორონეჟის და როსტოვის ოლქებში, პოგონოვოს (ვორონეჟის ოლქი), კლინცის (ბრიანსკის ოლქი), ოპუკისა და ანგარსკის (ორივე ყირიმი) სამხედრო პოლიგონებზე. როსტოვის ოლქში დამატებით თავმოყრილი იყო 12 საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი, რომელთა მზადყოფნის ვადა არის 1-2 დღე.



სურ. 1. ინციდენტები გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე

უკვე აპრილის დასაწყისისათვის რუსული ჯარების თავმოყრამ უკრაინის საზღვრებთან 2015 წლის შემდეგ მაქსიმალურ რაოდენობას მიაღწია, ძირითადად,

ყირიმსა და ვორონეჟის რეგიონში. დაფიქსირდა სადესანტო, მოტომსროლელი, საარტილერიო ნაწილების და ჯავშანტექნიკის გადასროლა. მათ შორის იყო 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის (ფსკოვი) და 74-ე მოტომსროლელი ბრიგადის (კემეროვო) ნაწილები, რომლებიც მონაწილეობდნენ 2014 წლის ომში. ყირიმში თითქმის მთლიანად გადაისროლეს მე-7 სადესანტო-მოიერიშე დივიზია.

ყირიმში ოპუკის პოლიგონსა და ქერჩის ნახევარკუნძულზე 15 მარტი-2 აპრილის პერიოდში გაიშალა საველე ბანაკი. სავარაუდოდ, იქ განლაგებული იყო 58-ე არმიის დანაყოფები (136-ე მოტომსროლელი ბრიგადა, 291-ე საარტილერიო ბრიგადა). მათ გარდა, ყირიმში ამ არმიის სხვა საშუალებებიც (ტანკები, სხვა საარტილერიო სისტემები) გადაისროლეს.

რუსეთმა ყირიმში გადაისროლა აღმოსავლეთ სამხედრო ოლქის 342-ე რადიოტექნიკური პოლკი. ეს შორეული აღმოსავლეთიდან ყირიმში გადასროლის პირველი შემთხვევაა.

უკრაინის დაზვერვის მონაცემებით, 15 აპრილის მდგომარეობით, რუსეთის დაჯგუფების რიცხოვნობა უკრაინის საზღვრებთან 110 000 კაცამდე გაიზარდა. მარტის დასაწყისისათვის ეს რიცხვი იყო 89000. საზღვართან და ყირიმში გაიშალა 47 საბატალიონო-ტაქტიკური ჯგუფი. გასათვალისწინებელია ასევე მოლდავეთში განთავსებული რუსეთის „სამშვიდობო“ კონტინგენტიც (რუსეთის ძალების თავმოყრა უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში ნაჩვენებია სურ. 2-ზე).

რუსეთის დაჯგუფებას მხარს უჭერდა 350-მდე თვითმფრინავი და 250-მდე ვერტმფრენი. შესაძლებელი იყო მოქმედებებში შორეული ავიაციის ჩართვა. საზღვაო მხარდაჭერას უზრუნველყოფდა 40-ზე მეტი ხომალდი და 2 წყალქვეშა ნავი.

გამართეს საველე და საჰაერო მართვის პუნქტები. გააძლიერეს საბრძოლო და ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემები. დაფიქსირდა დასავლეთ და სამხრეთ სამხედრო ოლქების ცალკეული რადიოელექტრონული ბრძოლის ბრიგადების გასვლა საბრძოლო პოზიციებზე.

შავ ზღვაში ზამთრის პერიოდის საკონტროლო შემოწმებისათვის გადაისროლეს კასპიის ფლოტილის სადესანტო და საარტილერიო კატარღები, სავარაუდოდ, 15 ერთეული. სამხრეთ სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანებით, სწავლებებში ჩაერთო შავი ზღვის ფლოტის და კასპიის ფლოტილის საზღვაო ქვეითთა და სანაპირო დაცვის დანაყოფები.


რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობა ზრუნავდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული დაჯგუფების საბრძოლო მზადყოფნაზე. იქ განთავსებულია 28000-მდე სამხედრო მოსამსახურე. მეთაურები არიან რუსეთის

არმიის ოფიცრები. დონბასში იმყოფება ასევე რუსი სამხედრო მრჩევლებისა და ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი, 2000 სამხედროს შემადგენლობით.

რფ-ის კადრის სამხედრო მოსამსახურეები გადაიყვანეს დონეცკის და ლუგანსკის პრორუსული ძალების დასაკომპლექტებლად. ჩატარდა სამეთაურო-საშტაბო სწავლება რუსეთის მე-8 საერთო-საჯარისო არმიის ერთიან სისტემაში. ამ ჯარების კომპლექტაციის და მოწინავე პოზიციებზე საინჟინრო-ფორტიფიკაციული სამუშაოების კონტროლს ახორციელებდა რუსეთის შეიარაღებული ძალების კომპლექსური კომისია. ტერიტორიაზე შეიტანეს შეიარაღების და საბრძოლო მასალების ახალი პარტია. მიმდინარეობდა მასშტაბური საინჟინრო სამუშაოები.

## სწავლებები

აპრილის დასაწყისში რუსეთის შეიარაღებულ ძალებში დაიწყო ზამთრის სასწავლო პერიოდის საკონტროლო შემოწმება. შესაბამისი სწავლებები ჩატარდა ყველა სამხედრო ოლქისა და ჩრდილოეთ ფლოტის ტერიტორიებზე. შემოწმდა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა და გვარეობა. რუსეთი ამით ამართლებდა ჯარების თავმოყრას უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში.



ნახ. 2 - რუსეთის ძალების თავმოყრა უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში

ზამთრის სასწავლო პერიოდის საკონტროლო შემოწმების ფარგლებში, ორმხრივი ტაქტიკური სწავლებები ერთდროულად ჩატარდა სამხრეთ სამხედრო ოლქის სხვადასხვა პოლიგონზე. ამუშავებდნენ თავდაცვის ამოცანებს სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის მე-4 არმიის, შავი ზღვის ფლოტისა და კასპის ფლოტილის ძალებთან ურთიერთქმედებით.

ყირიმში 58-ე საერთო-საჯარისო არმიის შენაერთებმა, ოპუკის პოლიგონზე, ჩაატარეს სხვადასხვა გვარეობის ტაქტიკური ჯგუფების სწავლებები.

შემოწმების ფარგლებში, შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფებმა ჩაატარეს სამხედრო ტექნიკისა და პერსონალის ჩატვირთვის მეცადინეობები დიდი სადესანტო ხომალდების ტვინდეკებში. მათ ჩამოაყალიბეს კოლონები, ჩაატარეს მარში დიდი სადესანტო ხომალდების «Цезарь Куников», «Азов» и «Саратов» დატვირთვის რაიონებში. ჩატვირთვის შემდეგ ხომალდები გავიდნენ ზღვაში და დანიშნულ რაიონში ჩამოაყალიბეს სადესანტო რაზმი.

შემდეგი ეტაპი იყო ხომალდების საბრძოლო გათვლების მიერ საარტილერიო სროლების ჩატარება სადესანტო სანაპირო მიზნებზე და დესანტის გადმოსხმა შავი ზღვის ერთ-ერთ პოლიგონზე.

უკრაინის საზღვრებთან ესკალაციის ფონზე რუსეთის ფედერაციამ, სამხედრო სწავლებების ჩატარების მიზეზით, 24 აპრილიდან 31 ოქტომბრამდე სხვა ქვეყნების სამხედრო ხომალდებისა და სახელმწიფო გემებისათვის ჩაკეტა შავი ზღვის აკვატორიის ნაწილი, ქერჩის სრუტის მიმართულებით.

შეზღუდა შეეხო შემდეგ სამ რაიონს: ყირიმის გასწვრივ მდებარე აკვატორიის გაწელილ მონაკვეთს (დაახლოებით სევასტოპოლიდან გურზუფამდე), მართკუთხა მონაკვეთს ქერჩის ნახევარკუნძულთან (ოპუკის ბუნებრივი ნაკრძალის ტრავერზზე) და ყირიმის დასავლეთ დაბოლოებასთან მდებარე პატარა მონაკვეთს. ქერჩის სრუტე და მისი მისასვლელები არ ხვდება შეზღუდვის ზონაში.

20-დან 24 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა ფრენების შეზღუდვები ყირიმის და შავი ზღვის ნაწილის თავზე. შეზღუდვების ზონაში შევიდა საჰაერო სივრცე 19000 მეტრის სიმაღლემდე, ყირიმის სამხრეთ ნაწილის თავზე (სევასტოპოლიდან ფეოდოსიამდე), ყირიმის სამხრეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიული წყლებისა და შავი ზღვის საერთაშორისო წყლების ნაწილის თავზე.

სასწავლო სროლების ჩასატარებლად ზღვაში გავიდა 20 საბრძოლო ხომალდისაგან შემდგარი რაზმი. ჩართული იყო შავი ზღვის ფლოტის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის თვითმფრინავები და ვერტმფრენები.

სულ, ყირიმის სწავლებებზე მოზიდული იყო 10000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, 1200-ზე მეტი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ერთეული. მანევრებში მონაწილეობდა 40-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი და 20-ზე მეტი უზრუნველყოფის გემი. 2000-ზე მეტმა მედესანტემ განახორციელა დესანტირება.

### **ჯარების დაბრუნება მუდმივი დისლოკაციის ადგილებში**

22 აპრილს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ჩავიდა ყირიმში. მან გამოაცხადა ყირიმში სახეობათაშორისო სწავლებების წარმატებით დასრულების და 1 მაისამდე ჯარების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნების შესახებ. ჯარებს ასევე უბრძანა, რომ მზად იყვნენ დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის, ნატოს „Defender Europe“ სწავლებების რაიონში ვითარების არახელსაყრელად შეცვლის შემთხვევაში.

ამასთან, 41-ე არმიის შეიარაღება და ტექნიკა რჩება პოგონოვოს პოლიგონზე. მათი გამოყენება განზრახულია სექტემბერში დაგეგმილ სტრატეგიულ სწავლებებში "Запад-2021".

აპრილის ბოლოსათვის უკრაინამ ჯარების გაყვანა მხოლოდ ყირიმიდან დააფიქსირა. ვორონჟის ოლქში სავლელე ბანაკები ისევ რჩებოდა. 11 მაისის მდგომარეობით, უკრაინელების შეფასებით, მათ საზღვრებთან ჯერ კიდევ დარჩენილი იყო რფ-ის 75000 სამხედრო მოსამსახურე, სულ კი - დაახლოებით რფ-ის 100000 სამხედრო მოსამსახურე უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში. მაისის ბოლოსთვის გრძელდებოდა რფ-ის შეიარაღებული ძალების გაყვანა უკრაინის ჩრდილოეთ საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებიდან, თუმცა მათი რაოდენობა არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. გარდა ამისა, დაიძაბა ვითარება ბელარუსში. არ არის გამორიცხული აგრესიის განხორციელება ბელორუსის ტერიტორიის გამოყენებით.

### **უკრაინის რეაგირება**

რუსეთის ამ გააქტიურებას უკრაინამაც უპასუხა სამხედრო და პოლიტიკური მიმართულებით. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, თებერვალში მის შემადგენლობაში ირიცხებოდა 195000 სამხედრო მოსამსახურე. აქედან 40000 ჩართული იყო გაერთიანებული ძალების შემადგენლობაში, დონბასის მიმართულებაზე<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> <https://www.dw.com/ru/gotovit-li-rossija-nastuplenie-na-ukrainu-na-cto-ukazyvajut-novye-dannye/a-57284735>



აპრილის დასაწყისში უკრაინამ შესთავაზა ნატოს ერთობლივი სამხედრო სწავლებების ჩატარება, რომლებშიც შევა უკრაინის საჰაერო სივრცის პატრულირება.

ჩატარდა რიგი სწავლებები და სხვა მოსამზადებელი ღონისძიებები: ყირიმის მიმდებარედ განლაგებულმა უკრაინის შეიარაღებული ძალების სატანკო და საარტილერიო რეზერვებმა ჩაატარეს საზღვაო დესანტის მოგერიების წვრთნები. სწავლებაში მონაწილეობდნენ უპილოტო საფრენი აპარატები.

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებმა შავი ზღვის აკვატორიაში ჩაატარეს ერთობლივი უკრაინულ-რუმინული PASSEX ტიპის სწავლებები, რუმინული კორვეტის Horia Macellariu-ს მონაწილეობით.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა 20 აპრილისთვის ყველა ოლქში თავისი დანაყოფები გადაიყვანა მზადყოფნის ამალგებულ რეჟიმში. გამოცხადდა ანტიტერორისტული სწავლებების ჩატარება უკრაინის უმეტეს რეგიონში. ყირიმის მოსაზღვრე ხერსონის ოლქის ტერიტორიაზე ჩატარდა მრავალეტაპიანი ანტიტერორისტული სწავლებები. მასში მონაწილეობდნენ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის, შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო სამსახურის, ეროვნული პოლიციის და სპეციალური ტრანსპორტის სახელმწიფო სამსახურის დანაყოფები. ანტიტერორისტული სწავლებები ჩატარდა რუსეთის საზღვართან, სუმის ოლქში.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ეს სწავლებები წარმოადგენს რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის აღსაკვეთად ქვეყნის მზადყოფნის ამალგების აუცილებელ ღონისძიებებს.

## **საინფორმაციო მხარდაჭერა**

მხარეები ატარებდნენ მიზნების მხარდამჭერ საინფორმაციო კამპანიას.

რუსეთის მხარე ავითარებდა ორ მიმართულებას. ერთი, რომ ეს არის ჩვეულებრივი რუტინული მანევრები და რუსეთს ამის სრული უფლება აქვს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში „კიევის მონაგონი“ უწოდეს მომზადებას უკრაინაში ხელახლა შეჭრისათვის. მათი თქმით, უკრაინა თვითონ აპირებს დონბასში შეჭრას და უკრაინის გარშემო ვითარება განიმუხტება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკრაინის ჯარები უარს იტყვიან პროვოკაციულ ქმედებებზე.

მეორე - რუსულ პროპაგანდისტულ ტოკ-შოუებში მოუწოდებდნენ: „შეწყდეს უკრაინული პროვოკაციები“; „მოდით, გავაგზავნოთ ტანკები და აღვმართოთ ჩვენი დროშა კიევში, რათა მოვიშოროთ ეს ფაშისტური სახელმწიფო“; „აუცილებელია უკრაინის პრეზიდენტის დასჯა პრორუსული ძალების საწინააღმდეგო ქმედებებისთვის“. რუსეთის კომპარტიის ლიდერი ზიუგანოვი გამოვიდა

წინადადებით, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები დონბასში „ოფიციალურად იყოს გამოყენებული და არა ჰიბრიდულ-ფარულად“. მისი თქმით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ცნობა არის „მათი თანამემამულეების ნება“.

საინფორმაციო ომში ჩართული იყვნენ თვითგამოცხადებული სახელმწიფოების ლიდერები. მათგან წამოსული საერთო გზავნილების მიხედვით, უკრაინა მზად არის სრულმასშტაბიანი ომისათვის და მას ამისაკენ უბიძგებს ნატო და აშშ; არავის სჭირდება ძლიერი რუსეთი და უკრაინა გამოიყენება მის დასასუსტებლად; უკრაინის ხელმძღვანელობას არაფერში სჭირდება დონბასის და ლუგანსკის რეინტეგრირება; მოსახლეობის მიზანია ცხოვრების რუსეთთან დაკავშირება. ეს მიწები ყოველთვის იყო და იქნება რუსული; პასპორტების გაცემა ჰუმანიტარული მისიაა, რადგან მოქალაქეები დოკუმენტების გარეშე დარჩნენ; უკრაინა ცდილობს წარმოაჩინოს, რომ კონფლიქტის მხარე არის რუსეთი და არა ჩვენ<sup>2</sup>.

უკრაინის დაზვერვა მიიჩნევს, რომ რუსული პროპაგანდის მთავარი ძალისხმევა მიმართულია უკრაინის წინააღმდეგ რუსული არმიის გამოყენების გამართლებისკენ მსოფლიოს საზოგადოების თვალში. რუსეთი ცდილობს ჯარების გამოყენება წარმოადგინოს, როგორც „ყირიმში კატასტროფული ვითარების აღმოცენების აღკვეთა, პირველ რიგში, ეკოლოგიურის.“ რუსეთს შეუძლია დაგეგმოს საქართველოს სცენარის გამეორება. გამოყენებული იქნება პროვოკაციები, რათა უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ბრალი დასდონ მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმაში. მით უმეტეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკვე გაცემულია 400 000-ზე მეტი რუსული პასპორტი.

რუსეთის განცხადებები უკრაინის მხრიდან დონბასზე თავდასხმის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს და წარმოადგენს დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილს. ეს ემსახურება უკრაინის დისკრედიტაციას საერთაშორისო არენაზე და პანიკის დათესვას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

უკრაინა ემზადებოდა რეალური საომარი მოქმედებებისათვის. კიევში განაახლეს მოქალაქეთა მიწისქვეშა თავშესაფრების ინტერაქტიური რუკა.

მარტის ბოლოს უკრაინის რაღამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებულ პერიოდში სამხედრო სამსახურში რეზერვისტთა გაწვევა შესაძლებელია მობილიზაციის გამოცხადების გარეშეც.

ემზადებიან შეიარაღებით და სამხედრო ტექნიკით უზრუნველსაყოფად. კონცერნ „უკრობორონპრომის“ დირექტორის განცხადებით, მასში შემავალ სახელმწიფო

---

<sup>2</sup> <https://lenta.ru/articles/2021/04/16/pushilin/>

თავდაცვით საწარმოებს შეუძლიათ ორჯერ მეტი თავდაცვითი პროდუქციის გამოშვება, თუ ეს აუცილებელი იქნება.

ზოგადად, 2021 წელს სახელმწიფოს თავდაცვითი შეკვეთის (22,5 მილიარდი გრივნა) 59% დახარჯული იქნება შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესაძენად. შეძენილი იქნება უპილოტო საჰაერო კომპლექსები Bayraktar, სარაკეტო კომპლექსები Neptune და ჯავშანტრანსპორტიორები BTP-4. დაგეგმილია ასევე სხვა სარაკეტო, ტანკსაწინააღმდეგო და მაღალი სიზუსტის შეიარაღების შესყიდვა. გრძელდება უკრაინულ-თურქული კორვეტის მშენებლობის კონტრაქტი.

მიმდინარეობს აღჭურვილობის მოძიება ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, მათ შორის - აშშ-ში. სახელმწიფო მდივანთან შეხვედრისას უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა მას მიაწოდონ რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები.

### **ვითარების შეფასება**

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, რფ-ის შეიარაღებული ძალების განხორციელებული ქმედებები არ არის ტიპური. ჯარების ასეთი თავმოყრა სხვადასხვა ოლქებიდან შეიძლება გამოწვეული იყოს სტრატეგიული სწავლებებით. თუმცა, უახლოესი სტრატეგიული სწავლებები - „Запад-2021“ შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.

უკრაინა მზად არის გაუმკლავდეს ვითარებას დონბასში, კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, - განაცხადა უკრაინის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერაციის სარდალმა სერგეი ნაევმა. სახელმწიფო გათვლას აკეთებს მოკავშირეების მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერაზე, სხვა რესურსები კი მას საკმარისი აქვს. მისი სიტყვებით, ამჟამად უკრაინაში შეჭრის თვალსაჩინო ნიშნები ჯერ არ შეიმჩნევა. უკრაინის საზღვრებთან არ ფიქსირდება დამრტყმელი დაჯგუფებების მომზადება თავდასხმისათვის. ხდება ძალის დემონსტრირება.

### **საერთაშორისო შეფასებები**

აპრილის დასაწყისისათვის EUCOM-მა, უკრაინის საზღვრებთან რუსული შეიარაღებული ჯარების თავმოყრის გამო, თავისი დაკვირვების დონე „შესაძლო კრიზისიდან“ ასწია „პოტენციურად აურიდებელ კრიზისამდე“.

აპრილის შუა რიცხვებისათვის ევროპაში აშშ-ის და ნატოს გაერთიანებული ჯარების სარდლობა მიიჩნევდა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის რისკი არის დაბლიდან საშუალომდე, თუმცა არის მისი შემცირების ტენდენცია.

კრიზისის საერთაშორისო ჯგუფის (International Crisis Group, ICG) ექსპერტების აზრით, რომელთა მოხსენება გამოქვეყნდა 20 აპრილს, მიუხედავად რუსეთის შეიარაღებული ძალების თავმოყრისა უკრაინის საზღვრებთან, 2014-2015 წლის დონეცკის მოვლენების განმეორების ალბათობა დაბალი იყო. მათი აზრით, რუსეთს ხელს აძლევს არსებული სტატუს-კვო. თუმცა, ჯარების ეს თავმოყრა მოწმობს, რომ მოსკოვი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს უკრაინაზე და მეტი რამ დაათმობინოს.

ევროპაში აშშ-ის ჯარების ყოფილი სარდალის ბენ ჰოჯესის აზრით, ეს შეიძლება იყო „რუსეთის პოზირება“ და აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემოწმება.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის შეფასებები ერთგვაროვანი არ იყო. ევროპაში ნატოს ძალების ყოფილი სარდალის ფილიპ ბრიდლავის აზრით, აპრილის შუა რიცხვების შემდეგ მოხდა სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა ელემენტის გაშლა უკრაინის საზღვრებთან, რაც საჭიროა საჰაერო უპირატესობის მოპოვებისა და სახმელეთო ჯარების უშუალო მხარდაჭერისათვის. რუსეთს უკრაინაში შეჭრისათვის საჭირო სტრატეგიული საშუალებები აქვს. „ეს არ არის დემონსტრაცია, ეს არის თავდასხმის მომზადება“,<sup>3</sup> - განაცხადა გენერალმა.

ბაიდენის ადმინისტრაციამ რუსეთის ჯარების ეს თავმოყრა აღიქვა, როგორც გაფრთხილება, რომ მას შეუძლიათ თავი მოუყაროს უფრო დიდ ძალებს, ვიდრე აშშ-ისა და ნატოს სწავლებებში იქნებიან ჩართული.<sup>4</sup>

სამხედრო ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ, პუტინი ცდის ბაიდენს. ასევე, მას უნდა, რომ დაანახოს უკრაინას დასავლეთის მხარდაჭერის ზღვარი. პუტინისთვის ბაიდენთან შეხვედრის შესაძლებლობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო გამწვავებისაგან მიღებული პოტენციური სარგებელი. სულ ცოტა ხნის წინ მაღალი იყო აგრესიის რისკი. თუმცა, სანქციების ახალი პაკეტი და ბაიდენთან შეხვედრის შესაძლებლობა უფრო მნიშვნელოვანია.

დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ამოცანა: რუსეთის პრეზიდენტს სურს უკრაინის მთავრობის დაშინება, პრორუსული პარტიების და მედვედჩუკისთვის პრობლემების შექმნის გამო - მაგრამ ამისათვის ასეთი ძალების თავმოყრა არარაციონალურია; რუსეთს სურს აიძულოს უკრაინა აღადგინოს ყირიმის წყალმომარაგება - მაგრამ ამისათვისაც არარაციონალურია ასეთი

---

<sup>3</sup> <https://www.dw.com/ru/gotovit-li-rossija-nastuplenie-na-ukrainu-na-chtoukazyvajut-novye-dannye/a-57284735>

<sup>4</sup> <https://hromadske.ua/ru/posts/na-granice-s-ukrainoj-ostaetsya-okolo-80-tysyach-rossijskih-vojsk-nyt>

ძალების თავმოყრა; შესაძლოა, გეგმაში იყოს მთლიანი დონზასის ოკუპაცია - ამაზე მეტყველებს ჯარების თავმოყრა უკრაინის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვორონეჟთან და სამხრეთით - ყირიმში, რათა ორი მიმართულებიდან შეუტიონ. ამით ის პოლიტიკურ ქულებს დაიწერს რუსეთშიც და შეარყევს უკრაინის სახელმწიფოს; შეიძლება, გეგმაში იყოს ტერიტორიის და მსხვილი ქალაქების დაკავება უკრაინის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ეს იქნება დიდი დარტყმა უკრაინის სახელმწიფოსათვის, მაგრამ ასევე იქნება სრულმასშტაბიანი ომი, რასაც დიდი რესურსები დასჭირდება; ერთ-ერთი ამოცანა შეიძლება იყო დასავლეთზე ზეწოლის გაძლიერება. ეს მიზანი გარკვეულწილად უკვე მიღწეულია. მაგალითად, ბაიდენისგან შეხვედრის შეთავაზება.

რუსეთმა შეიძლება არასოდეს აღიაროს, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში ის დაინტერესებულია ევროპასთან პარტნიორობით. ამიტომ საეჭვოა პუტინმა გარისკოს ფართომასშტაბიანი ომის დაწყება.

ღია აგრესიაზე კრემლი, ალბათ, მაინც არ წავა. შედეგები იქნება არაპროგნოზირებადი, ზიანი - უდიდესი. ამასთან, პუტინმა იცის, რომ დასავლეთი ამას არ დაუშვებს და ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აიცილოს ასეთი კონფლიქტი.

### **საერთაშორისო მხარდაჭერა**

უკრაინის პარტნიორი ქვეყნები ახორციელებდნენ შეკავების გარკვეულ ღონისძიებებს, მათ შორის - სამხედროსაც.

სახელმწიფო დეპარტამენტის და პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აშშ თვალ-ყურს ადევნებს ვითარებას. მათ უკვე მიაწოდეს და მიაწვდიან უკრაინას არალეტალურ და ლეტალურ საშუალებებს. 2014 წლიდან ამ სფეროში აშშ უკრაინას 2 მილიარდი დოლარით დაეხმარა.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპულმა სარდლობამ გამოაცხადა საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებისა და ორი სარაკეტო საესკადრო ნაღმოსნის გაგზავნის შესახებ შავ ზღვაში. შემდგომ ეს ხომალდები ლუზაზე დადგნენ კრეტაზე. პენტაგონმა განაცხადა, რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები გააგრძელებენ საჰაერო დაზვერვას საერთაშორისო საჰაერო სივრცეში, შავი ზღვის თავზე, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და ყირიმში ჯარების ნებისმიერი გადაადგილების დასაკვირვებლად. აპრილის თვეში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი RQ-4A Global Hawk ახორციელებდა სადაზვერვო ფრენებს უკრაინის მიერ კონტროლირებად დონეცკის და ლუგანსკის ტერიტორიებზე. ფრენები ტარდებოდა სევეროდონეცკის, სლავიანსკის და სტარობელსკის, ასევე, შავი ზღვის თავზე ყირიმის დასავლეთით, მიკოლაევის და ბერდიანსკის რაიონებში.

ამასთან, აშშ არ თვლის რუსეთის ჯარების თავმოყრას თავდასხმის მომზადებად, თუ რაიმე შეიცვლება, აშშ მზად იქნება პასუხისმართვის.

20 აპრილისათვის აშშ ევროპის სარდლობამ რამდენიმე ათეული F-15 და F-16 გამანადგურებელი გადაისროლა პოლონეთში. პენტაგონის პრესმდივნის განცხადებით, ეს არ უკავშირდება უკრაინის მოვლენებს და ჩვეულებრივი სამანევრო ვარჯიშია. თუმცა, აშშ სერიოზულად არის შეშფოთებული რუსეთის პოტენციალის ზრდით უკრაინის საზღვრებთან და მოუწოდებს მას, იყოს უფრო გამჭვირვალე, დაიცვას მინსკის შეთანხმება და არ დაძაბოს ვითარება უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში.

დიდმა ბრიტანეთმა ასევე გამოაცხადა თავისი საესკადრო ნაღმოსნის და ნავსაწინააღმდეგო ფრეგატის გაგზავნის შესახებ შავ ზღვაში. 18 მაისს ოდესის პორტში შევიდა დიდი ბრიტანეთის სამეფო ფლოტის სანაპირო ზონის საპატრულო ხომალდი OPV Trent. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ერთობლივი წვრთნები უკრაინელ სამხედრო მეზღვაურებთან და PASSEX-ის სწავლებებში მონაწილეობა.

დიდი ბრიტანეთი გააგრძელებს უკრაინის არმიის დახმარებას. კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების საკითხებში. ამის შესახებ განაცხადა სახელმწიფო მდივანმა თავდაცვის საკითხებში ბენ უოლესმა უკრაინის თავდაცვის მინისტრთან სატელეფონო საუბარში.

ევროპაში დაიწყო დაგეგმილია ნატოს სხვადასხვა სწავლება: 4 მაისს ალბანეთში დაიწყო სწავლებები 28 000 სამხედროს მონაწილეობით, რომლებიც ორ თვეს გაგრძელებს; 19 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით რუმინეთის ტერიტორიაზე ჩატარდა სწავლებები Noble Jump 2021, რომელშიც მონაწილეობდა 4000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და დაახლოებით 600-მდე სამხედრო ტექნიკის ერთეული. მათ შორის ნატოს გაერთიანებული ძალების სწრაფი რეაგირების ძალების (Very High Readiness Joint Task Force - VJTF) თურქული კონტინგენტის ბადრაგი<sup>5</sup>; ივნისში ნატო ატარებს სწავლებებს რუმინეთსა და პორტუგალიაში; ზაფხულში დაგეგმილია უკრაინის თავდაცვის სამინისტროსა და აშშ ევროპული სარდლობის ერთობლივი სწავლებების «Sea Breeze» ჩატარება, ნატოს სხვა პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით. ძირითადი მონაწილეები არიან: უკრაინა, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ლატვია და პარტნიორი ქვეყნები. სწავლებაში მოზიდული იქნება 4000-მდე სამხედრო მოსამსახურე; 40 საბრძოლო ხომალდი, კატარა და დამხმარე გემი; 30 ერთეული საავიაციო ტექნიკა, 100-ზე მეტი ავტომობილი და ჯავშანტექნიკა.

---

<sup>5</sup> <https://www.newsru.com/world/21may2021/noblejump.html>

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, გენერალ-მაიორ იგორ კონაშენკოვის განცხადებით, რუსეთი ყურადღებით მიადევნებს თვალს ამ სწავლებების ჩატარებას. აუცილებლობის შემთხვევაში, მოხდება ადეკვატური რეაგირება, რფ-ის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.<sup>6</sup>

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებით, განსხვავებით 2014 წლისაგან, უკრაინა და მსოფლიო მზად არიან რუსული აგრესიისათვის. რუსეთის ჯარების გადმოსროლის დაწყებისთანავე უკრაინამაც დაიწყო საერთაშორისო მხარდაჭერის კოორდინაცია და არავინ დაიჯერა რფ-ის პროპაგანდა, რომ უკრაინა ამზადებდა შეტევას. მისივე თქმით, უკრაინა მიიღებს სამხედრო-ტექნიკური დახმარების მთელ სპექტრს თავისი პარტნიორებისაგან. არ არის არავითარი შეზღუდვა და აკრძალვა ამ საკითხზე.

### **პოლიტიკური მხარდაჭერა**

2 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტი ტელეფონით ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტს და გამოხატა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერა.

13 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტმა დაურეკა პუტინს და მოუწოდა შეანელოს დამაბულობა უკრაინის საზღვრებთან, გამოხატა რა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერა და, ასევე, მტკიცედ მოქმედებების გადაწყვეტილება.

14 აპრილს უკრაინის მხარდაჭერა გამოხატა აშშ პრეზიდენტმა გერმანიის კანცლერთან სატელეფონო საუბარშიც.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უკრაინის საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს შეხვდა და ესაუბრა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს, ნატოს გენერალურ მდივანს, საფრანგეთის და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს. მისი თქმით, აუცილებელია ავუხსნათ რუსეთს, რომ ახალი სამხედრო ავანტიურის ფასი ძალიან მაღალი იქნება მისთვის.

აშშ-ის სენატმა მოიწონა კანონპროექტი უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაზრდის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურ სამხედრო დახმარებას 300 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში, ლეტალური შეიარაღების ჩათვლით.

---

<sup>6</sup> [Департамент информации и массовых коммуникаций Министерства обороны Российской Федерации](#)

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აპრილის პირველი კვირა ძალიან დატვირთული იყო უკრაინულ-ამერიკული ურთიერთობების თვალსაზრისით. უკრაინელი თანამდებობის პირები შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს: აშშ-ის პრეზიდენტს, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, სახელმწიფო მდივანს, თავდაცვის მდივანს, შტაბის უფროსები - კომიტეტის თავმჯდომარეს.

გერმანია და საფრანგეთი აქტიურად იყვნენ ჩართული დამაბულობის შემცირების მოლაპარაკებებში. 8 აპრილს მერკელმა მოუწოდა პუტინს გაიყვანოს ჯარები უკრაინის საზღვრებიდან. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა თავის უკრაინელ კოლეგას, რომ გერმანია მხარს უჭერს უკრაინას ვითარების დეესკალაციის საკითხში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთმა უნდა შეამციროს დამაბულობა უკრაინის საზღვრებთან. თუ რუსეთი გადაწყვეტს უკრაინაში შეჭრას, მის წინააღმდეგ შემოღებული იქნება სანქციები. მან თქვა, რომ ის მომხრეა რუსეთთან ღია და ღირსეული დისკუსიისა. თუმცა „არასოდეს დავუშვებთ ახალ სამხედრო ოპერაციებს უკრაინის მიწაზე და ჩვენ უნდა ვიპოვოთ ხერხები, რათა დამაჯერებლები ვიყოთ ამაში“.

მაკრონმა და მერკელმა ჩაატარეს ვიდეოკონფერენცია პუტინთან. სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო რუსეთ-უკრაინის თემა. ხაზი გაუსვეს აუცილებლობას, რომ რუსეთმა აიღოს ცეცხლის შეწყვეტის, სტაბილიზაციის რეჟიმის და კრიზისიდან გამოსვლის გზების შემუშავების ვალდებულება, მინსკის შეთანხმების დაცვით.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიძახა რუსეთის ელჩი და გამოუცხადა ღრმა შეშფოთება „რუსეთის ბოროტგანზრახვით საქმიანობასთან დაკავშირებით“.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბალტიის ქვეყნები. მათი აზრით, ეს არის ევროპის უსაფრთხოების საკითხი. ევროკავშირი არ უნდა დაელოდოს რუსეთის მორიგ შეჭრას უკრაინაში და პოსტ ფაქტუმ არ უნდა მოახდინოს რეაგირება<sup>7</sup>. აუცილებელია უკრაინას მიეცეს MAP-ი, ხოლო რუსეთს გაეგზავნოს მკაფიო სიგნალი ახალი აგრესიის შესაძლო შედეგებზე.

ნატოს წამყვანმა ქვეყნებმა გამართეს ონლაინკონფერენციები და შეჯერდნენ, რომ

---

<sup>7</sup> <https://news.liga.net/politics/news/seychas-es-doljen-skazat-rossii-za-vmorjenie-budut-sektoralnye-sanktsii-glava-mid-litvy>



რუსეთი ძირს უთხრის დეესკალაციის პროცესს. მათ გამოხატეს უკრაინის ურყევი მხარდაჭერა.

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „რუსეთის შესახებ, ნავალნის, უკრაინის საზღვრებთან სამხედრო ძალის და ჩეხეთის რესპუბლიკაზე თავდასხმის საქმეზე“, სადაც გაწერილია წინადადებები რუსეთის არმიის უკრაინაში შეჭრის შემთხვევისათვის. ეს არის: რუსეთიდან ნავთობის და გაზის იმპორტის შეწყვეტა, მისი SWIFT-დან გათიშვა, ხელისუფლებასთან ახლო მყოფი ბიზნესმენების და მათი ოჯახების აქტივების გაყინვა და ევროკავშირში შეშვების აკრძალვა. ევროკავშირმა და აშშ-მ გააკრიტიკეს რუსეთი შავი ზღვის აკვატორიის რაიონების დახურვის გამო.

12 აპრილს დიდი შვიდეულის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს რუსეთს შეწყვიტოს პროვოკაციები უკრაინის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ შეანელოს დამაბულობა თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

პოლონეთმა და ევროკავშირის კიდევ შვიდმა ქვეყანამ მოითხოვეს რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღება.

## **მოლაპარაკებები**

თავად უკრაინის ხელისუფლებაც აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. უკრაინის პრეზიდენტმა დიდი ბრიტანეთის პრემიერს სატელეფონო საუბრისას მოუწოდა, რომ მან და ნატოს სხვა ქვეყნებმა გააძლიერონ სანქციებით ზეწოლა რუსეთზე. ცალკე განიხილეს 2020 წლის ოქტომბერში მიღწეული შეთანხმება უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ.

13 აპრილს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნატოს გენერალურ მდივანთან და უკრაინა-ნატოს კომისიის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, რომ საჭიროა ახალი სანქციები.

უკრაინის პრეზიდენტმა სთხოვა კანადის პრემიერ-მინისტრს მხარი დაუჭიროს უკრაინას მისთვის MAP-ის მინიჭების საკითხში.

23 აპრილს უკრაინამ მონაწილეობა მიიღო ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნების - რუმინეთის, პოლონეთის და თურქეთის შეხვედრაში. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ეს არის სიგნალი.

უკრაინამ მოუწოდა ევროკავშირს, ვითარების გამწვავების შემთხვევაში, გამოთიშონ რუსეთი SWIFT სისტემიდან.

## ანალიზი

უკრაინელ, რუს და დასავლელ ექსპერტებს და ლიდერებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ხედვა ჰქონდათ განვითარებული მოვლენების შესახებ. თუმცა, უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ამჯერად მასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაჩაღება მოსალოდნელი არ იყო.

უკრაინის დაზვერვისა<sup>8</sup> და სამხედრო ექსპერტების აზრით, რუსეთის მოქმედებების მიზნები შეიძლება იყოს: უკრაინის შენარჩუნება თავისი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროში; მისი იძულება, ხელი აიღოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე; გადაწყვიტოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი თავისი მოთხოვნების შესაბამისად; მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე არის რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფერო; მოახდინოს ზეწოლა აშშ-სა და ევროკავშირზე, უკრაინისა და რუსეთის მიმართ მათი დამოკიდებულების გამო, ევროპაში რეალური მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის აღმოცენების შესაძლებლობის დემონსტრირებით; საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობის ყურადღება შიდა პრობლემებიდან გადაიტანოს; მოახდინოს ნავალნის საქმით და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მირგამომთხრელი საქმიანობით გამოწვეული საერთაშორისო რეზონანსის ნიველირება.

რუსეთის შეიარაღებული ძალების მასშტაბური კონცენტრაცია შეიძლება იყოს პასუხი ნატოს სწავლებებზე Defender Europe 2021 და ერთდროულად მომზადება სტრატეგიული სამეთაურო-სამტაბო სწავლებებისათვის "Запад-2021", რომლის ჩატარების პერიოდში ვითარება შეიძლება ისევ დაიძაბოს. პარალელურად გაიზრდება უკრაინის სამხედრო საფრთხეების დონე.

სავარაუდოა მოქმედებების განვითარების შემდეგი ვარიანტები: ძალის დემონსტრაცია უკრაინის საზღვრებთან და ყირიმში; სამხედრო ოპერაციის ჩატარება ყირიმის წყალმომარაგების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უკრაინის სამხრეთ ოლქების ტერიტორიის ნაწილის დაკავებით; უკრაინელი სამხედროების პროვოცირება სამხედრო მოქმედებებზე და შემდეგ უკრაინისათვის ხელშეკრულების დარღვევის დაბრალება.

ევროპაში ნატოს ძალების ყოფილი სარდლის ჯეიმს სტავრიდისის აზრით<sup>9</sup>, რუსეთმა კი დაიწყო ჯარების გაყვანა უკრაინის საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებიდან, მაგრამ დამშვიდებამდე ჯერ ადრეა.

<sup>8</sup> <https://news.liga.net/politics/news/razvedka-nazvala-tri-varianta-vozmojnyh-voennyh-deystviy-rf-protiv-ukrainy>

<sup>9</sup> <https://inosmi.ru/military/20210508/249681180.html>

სახმელეთო ოპერაციისათვის შეიძლება ხელსაყრელი მომენტი ახლა არ არის, მაგრამ პუტინმა შეიძლება გადაწყვიტოს შავ ზღვაზე კონტროლის გაძლიერება. შავი ზღვა პოტენციურად საზღვაო ცხელი წერტილია. ამასთან, ატლანტიკური საბჭოს ბოლო კვლევებით, აქ შეიძლება ნახშირწყალბადების დიდი მარაგები იყოს, რაც კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას.

რუსების ამოცანა იქნება უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ნეიტრალიზება, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილზე სრული კონტროლის მოპოვება, რუსეთის ყირიმთან შემაერთებელ ზოლზე კონტროლის მოპოვება.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი თავის მომავალს ხედავს ჰიბრიდულ ომებში. ისინი იწარმოებენ ნატოს ჩარევის ზღურბლზე დაბლა, მაგრამ იძლევა მსოფლიო ძალის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას. 2014 წლიდან უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ამ კონფლიქტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

რუსეთის სამხედრო პოლიტიკას სათანადოდ ვერ უჭერს მხარს მისი ეკონომიკური სიძლიერე, მაგრამ უზიარებს შიდაპოლიტიკური აუცილებლობა. რუსეთი ცდილობს წინმსწრები მოქმედებებით მოიპოვოს უპირატესობა და ახერხებს კიდევ ამას. ის აწარმოებს მცირემასშტაბიან, პრინციპულად ახალი ტიპის ომებს თავისი ბირთვული პოტენციალის საფარქვეშ. მათი მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, დასავლეთის და მეზობლების დაშინება და მოთვინიერება.

რუსეთის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის არაკონკურენტუნარიანია ყველა სფეროში, გარდა ნედლეულისა და შეიარაღებისა, ხოლო ომი, მათ შორის, ჰიბრიდული, დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. თუმცა სხვა გამოსავალიც არ არის. საგარეო აქტიურობის შემცირებამ შეიძლება დაარღვიოს შიდასახელმწიფოებრივი სოციალური წესრიგი.

დასავლეთმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჰიბრიდული ომი არის არა ძველის უბრალო გაგრძელება, არამედ პოლიტიკის დინამიკური ფორმა, რომელიც სახიფათოა ყველა მხარისათვის, განსაკუთრებით, ჩინეთის, როგორც მსოფლიო ძალის, ზრდის ფონზე<sup>10</sup>.

რუსი და პრორუსულად განწყობილი ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომ რუსეთს არ სურს ომი უკრაინასთან და ეს არც არის მოსალოდნელი. მაგრამ იმ

---

<sup>10</sup> <https://www.welt.de/debatte/kommentare/plus231341961/Moskauer-Machttraeume-Russland-will-Kriege-fuehren-die-es-gar-nicht-bezahlen-kann.html>

შემთხვევაში, თუ დასავლეთის მიერ შეგულიანებული უკრაინა მოინდომებს დონბასის ძალით დაბრუნებას, რუსეთს აღარ დარჩება არჩევანი, გარდა ძალისმიერი მოქმედებებისა. ამ შემთხვევაში, უკრაინამ თავისი სახელმწიფოებრიობაც კი შეიძლება დაკარგოს.

მათი აზრით, აშშ დაინტერესებულია ომით და შეუძლია უბიძგოს უკრაინას ამისაკენ. მით უმეტეს, კიევი შთაგონებულია ყარაბაღის მაგალითით და თურქული ბაირახტარების მეშვეობით ეცდება გაიმეოროს აზერბაიჯანის წარმატება.

აშშ არაფერს კარგავს. ის თითქმის არაფერს დებს უკრაინაში და აძლევს მას მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის მეორად შეიარაღებას და აღჭურვილობას. რაც შეეხება ფინანსებს, ეს ხდება კრედიტების სახით, რაც უკრაინის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

ამ ექსპერტების თქმით, საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში, შესაძლებელია საზღვაო დესანტის გადმოსხმა ოდესის და მარიუპოლის მიმართულებებზე. აქ მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ლოიალურია რუსების მიმართ. უკრაინა ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას, რადგანაც მისი ისედაც სუსტი სამხედრო-საზღვაო (ბაზა - ოდესა) და სამხედრო-საჰაერო (ბაზები - მიკოლაევი, ვინიცა, ჟიტომირი, კიევი, ივანო-ფრანკოვსკი) ძალები გამოყვანილი იქნება მწყობრიდან წინასწარი სარაკეტო დარტყმებით ან ბლოკირებული იქნებიან. ასევე განადგურებული იქნება ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს «Нептун»-ის ერთადერთი ბატარეა ოდესა-მიკოლაევის რაიონში.

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დარტყმები შეიძლება განახორციელონ:

- კიევის და ხარკოვი-დნეპროპეტროვსკის მიმართულებით (20 საერთო-საჯარისო არმია, 1-ლი სატანკო არმია);
- სამხრეთიდან ყირიმი-ზაპოროჟიეს მიმართულებით (22-ე საარმიო კორპუსი, 58-ე არმია);
- საზღვაო დესანტების გადმოსხმით ოდესის და მარიუპოლის მიმართულებით (76-ე და მე-7 სადესანტო დივიზიები). ოდესის მიმართულებიდან შეტევამ შეიძლება დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, თავდაცვის ოპერატიულ სივრცეში განლაგებულ ძალებს ზურგიდან დარტყმის საშიშროება შეუქმნან.
- დონბასის მხრიდან, სადაც განლაგებულია უკრაინის ყველაზე ბრძოლისუნარიანი დანაყოფები, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შეზოჭავს მე-8 საერთო-საჯარისო არმია და არალიარებულთა 1-ლი და მე-2 საარმიო კორპუსები.

უკრაინას მოუწევს თავისი ძალების დაფანტვა მრავალი მიმართულებით, თუმცა გარდატეხა გარდაუვალად მოხდება სულ რამდენიმე დღეში. ამის შემდეგ ყველაფერი

დამოკიდებული იქნება რუსეთის სურვილზე, რამდენად ღრმად მოუნდება მას უკრაინაში შეჭრა.

რუსეთმა შეიძლება გაიმეოროს „ქართული სცენარი“, გაანადგუროს უკრაინის შეიარაღებული ძალები, გავიდეს მემბოხე ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებზე, აღიაროს მათი დამოუკიდებლობა და განალაგოს იქ თავისი შეიარაღებული ძალები.

ნატოს პირდაპირი ჩარევა გამორიცხულია. დაპირებული მხარდაჭერა მხოლოდ დემაგოგიაა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს უფრო სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნება. დონეცკის და ლუგანსკის ტერიტორიების მხარდაჭერა ისედაც დიდი ტვირთია მისთვის. კონტროლირებადი ტერიტორიების გაფართოება კი ამ ტვირთის დამძიმებას გამოიწვევს. გარდა ამისა, შემაკავებელი ფაქტორი იქნება ანტირუსული განწყობილებების ზრდა დაკავებულ ტერიტორიებზე და მათ გარეთ.

ასე რომ, „ქართული ვარიანტი“ უფრო მისაღებია რუსეთისათვის. რუსეთი არ არის დაინტერესებული ომით, მაგრამ შიდაპოლიტიკური მოტივების გამო ამას ვერ გაექცევა, თუ კიევი იქნება წამომწყები.

ამ პრობლემების უდიდესი ნაწილი არ იქნებოდა აქტუალური, 2014 წელს რუსეთს რომ განევიტარებინა სამხედრო წარმატება და მიეერთებინა მთლიანად დონბასი ან მთელი ზოლი ოდესიდან ხარკოვამდე.

ამ ექსპერტების აზრით, უკრაინა, დღევანდელ საზღვრებში, არასოდეს იქნება მეგობრული რუსეთისადმი. მოსკოვის მიზანი უნდა იყოს ამ სახელმწიფოს დემონტაჟი, სასურველია - არასამხედრო გზით.

დღეს არცერთი ვარიანტის გამორიცხვა არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ომის წაგება სულაც არ წარმოადგენს პრობლემას უკრაინის ხელმძღვანელობისათვის, თუ არ ჩავთვლით პირადად მათი და მათი ქონების დაზიანებას.

რა შეიძლება ითქვას მსგავსი სამხედრო სცენარების შესახებ?

აღმოსავლეთ უკრაინა წარმოადგენს ნაკლებად დასერილ ტერიტორიას, რომელზეც დიდი ზომის ბუნებრივი ზღუდეების გამოყენებით თავდაცვის ორგანიზებისათვის ადგილმდებარეობა ხელსაყრელი არ არის. მით უმეტეს, როდესაც მტერს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, განსაკუთრებით, საცეცხლე დაზიანების საშუალებებში. შეიძლება თავდაცვის ზღუდეებად შეირჩეს გარკვეული რაიონები და დასახლებული პუნქტები, მაგრამ ღრიჭოები მათ შორის ბევრად უფრო დიდი იქნება, ვიდრე თვით ამ ზღუდეების საერთო ფრონტი. ასეთ პირობებში თავდაცვის

ორგანიზება ცალკეულ მიმართულებებზე შესაძლებელია მობილური და პოზიციური თავდაცვის კომბინირებით, სადაც მობილურ თავდაცვაში მონაწილე დანაყოფები საბოლოოდ თავს მოიყრიან პოზიციური თავდაცვის რაიონებში, სავარაუდოდ, დიდ ქალაქებში. მოწინააღმდეგე ეცდება გვერდი აუაროს ამ რაიონებს და გააგრძელოს წინსვლა საბოლოო ამოცანის შესასრულებლად, ვინაიდან პოზიციური თავდაცვის რაიონებზე შეტევა გამოიწვევს ტემპის დაკარგვას, ძალების დაქსაქსვას და დიდ მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში.

ამ შემთხვევაში, ეს რაიონები აღმოჩნდებიან მოჭრილი ზურგის მხრიდან, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს მათ ლოგისტიკურ უზრუნველყოფას. თუმცა, წინასწარი მომზადების შემთხვევაში, იქ შეიძლება შეიქმნას საკმარისი მარაგები.

ფართომასშტაბიანი მოქმედებების შემთხვევაში, მსხვერპლი ორივე მხარეს ძალიან დიდი იქნება. თუ ამჟამად რუსულ მხარეს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა სარაკეტო ჯარებსა და არტილერიაში, ომის შემთხვევაში დასავლეთი ეცდება ამ კომპონენტში მხარი დაუჭიროს უკრაინას და შეამციროს ეს დეფიციტი, რაც გამოიწვევს დიდ დანაკარგებს შემტევ მხარეში.

რაც შეეხება საჰაერო კომპონენტს, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები სულაც არ წარმოადგენს ყოვლისშემძლე და დაუძლეველ ძალას. უკრაინას თავადაც ჰყავს საჰაერო თავდაცვის საკმაოდ ძალები და საშუალებები. დასავლეთისაგან ამ მხრივ გაძლიერების შემთხვევაში, რუსეთისათვის ყველაფერი შეიძლება დიდი დანაკარგებით დამთავრდეს.

რაც შეეხება დესანტს, ეს სწავლებების დროსაც საკმაოდ რთული ამოცანაა და აქტიური წინააღმდეგობის შემთხვევაში, დიდი დანაკარგებით შეიძლება დამთავრდეს. თანაც, თუ მარიუპოლის მიმართულებაზე გადმოსხმულ დესანტს შეიძლება მხარი დაუჭიროს ყირიმში (თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე თავდაცვითი პოზიციები მომზადებული და დაკავებულია), დონბასსა და რუსეთში განლაგებულმა დანაყოფებმა, ოდესის მიმართულებაზე ასეთი მხარდაჭერა უფრო პრობლემური იქნება. აქ შეიძლება გამოიყენონ მოლდავეთში განთავსებული რუსული კონტინგენტი, თუმცა ეს სცილდება სამხედრო სფეროს და გარკვეული პოლიტიკური საკითხია.

შეიძლება ისტორიული პარალელების გავლება სსრკ-ის ავღანურ კამპანიასა და რუსეთის ჰიპოთეტურ უკრაინულ კამპანიას შორის: ერთმანეთს რომ შევადაროთ მაშინდელი სსრკ და დღევანდელი რუსეთის შესაძლებლობები, დღევანდელი უკრაინის და მაშინდელი ავღანელი მოჯაჰედების სამხედრო შესაძლებლობები, დასავლეთის მოსალოდნელი მხარდაჭერა უკრაინისადმი და მაშინდელი მხარდაჭერა ავღანელი მოჯაჰედებისადმი. დედუქციის მეთოდით შეიძლება ვიმსჯელოთ უკრაინული კამპანიის შედეგებზეც.

სავარაუდოდ, უკრაინისათვის ყველაზე ცუდ ვარიანტში, საომარი მოქმედებების პირველ ეტაპზე, რუსეთის შეიარაღებული ძალები შეიძლება გავიდნენ მდინარე დნეპრის ზღუდეზე და ზურგში ჰქონდეთ რამდენიმე პოზიციური თავდაცვის რაიონი, ესეც - ძალიან დიდი დანაკარგების ხარჯზე. ამის შემდეგ გარანტირებული იქნება ხანგრძლივი და პოზიციური სამხედრო მოქმედებები, ასევე დიდი დანაკარგებით. რამდენად მისაღები იქნება ეს თვითონ რუსეთისა და დასავლეთისათვის, რომელიც ასეთ შემთხვევაში მიიღებს ძალზე დიდმასშტაბიან და ხანგრძლივ სამხედრო დაპირისპირებას შუაგულ ევროპაში?

## დასკვნები

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების გაჩაღება არ შედის არც ერთი მხარის და არც დასავლეთის ინტერესებში;

რუსეთს ამ კამპანიის და მისი შედეგების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის რესურსები არ აქვს. თუმცა, შიდა მოთხოვნებიდან გამომდინარე, მას გარკვეული შედეგი სჭირდება, თუნდაც - ყირიმის წყალმომარაგების საკითხის გადაწყვეტა. რუსეთმა შეიძლება გაითამაშოს „საქართველოს“ ვარიანტიც;

დასავლეთს მოუწევს უფრო ქმედითი გადაწყვეტილებების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიიღებს ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტს ევროპის ცენტრში, ხანგრძლივი შედეგებით;

უკრაინას მოუწევს ძალისხმევის კონცენტრაცია საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებისა და ოპტიმიზაციისათვის, მათ შორის, მოსახლეობის გაერთიანების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად ექნება ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები.

ესკალაცია კვლავაც მოსალოდნელია ზაფხულში და შემოდგომაზე დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სწავლებების პერიოდში.